სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

06 დეკემბერი, 2023 წ.

ბრძანება N01-12/162

ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილების, ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 24 ოქტომბრის N01-10/121 ბრძანებისა და „ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 10 ნოემბრის N01-10/127 ბრძანებისა და ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 18 ოქტომბრის N1398694 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 24 ოქტომბრის N01-10/121 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული კონკურსის შედეგად, 2023 წლის 06 დეკემბრიდან 2024 წლის 15 იანვრამდე ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორებად **(ანაზღაურების გარეშე)** დაინიშნონ შემდეგი პირები:

ა) **ხატია ლეონიძე** - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მეოთხე სასწავლო წლის სტუდენტი;
ბ) **ანა პაიჭაძე** - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სასწავლო წლის სტუდენტი;
გ) **ანა შავაძე** - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მესამე სასწავლო წლის სტუდენტი;
დ) **ნათელა ესაძე** - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სასწავლო წლის სტუდენტი.

2. სტაჟიორების სამუშაო განრიგი განისაზღვროს იურიდიული დეპარტამენტის მიერ.
3. სტაჟიორთა ხელმძღვანელად დაინიშნოს ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი - ჟანა ჯიბლაძე და მის მიერ განსაზღვრული დეპარტამენტის პერსონალი.

4. ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსს დაევალოს არაუგვიანეს 2024 წლის 15 იანვრისა წარმოადგინოს სტაჟიორების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში.

5. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: კონკურსები; ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აქტები).

6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტსა და სტაჟიორებს.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მერაბ დიასამიძე**